ცუცქი მოგზურის პოსგი ვარნი

287 | 280

# საქაღალდე
# ПАПКА ДЛЯ БУМАГ

287 | 280

დას. ანაწერილია 14

14 ფ

დოც. აკაკი თოფურია- " ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები", 1962 წ.,გვ. 01-615

/ დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად/

ვრცელი მონოგრაფია- " ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები",რომელიც დოც.ა.ს.თოფურიამ საპაექროდ წარმოადგინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ქართული მეთოდიკური აზროვნების უეჭველი შენაძენია.

დიდძალი მასალის სისტემატიკური დალაგება, თეორიული ანალიზი და მკაფიოდ გამოთქმული დებულებები ნათლად მოწმობენ,რომ დისერტანტი,როგორც მკვლევარი, სავსებით მომწიფებულია, გარკვეული წვლილის შემტანია მეცნიერების იმ დარგში,რომელსაც მისი ნაშრომი ეხება.

დისერტაციაში მოტანილი ისტორიული ფაქტები, მეთოდიკური ასპექტით გააზრებული, ჩვენ პირველად ვიხილეთ ამ კუთხით, და ორიგინალური გზაც კვლევა-ძიებისა,არავითარ ეჭვს არ იწვევს. მართალია, ნაშრომი მხოლოდ " ძირითად საკითხებს " ეხება, მაგრამ იგი მონოგრაფიაა,ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და არა ნარკვევების კრებული. ეს უთუოდ დადებითი მოვლენაა,რაც დისერტანტის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

საპაექრო ნაშრომის პირველი ნაწილი, რომელიც ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიას გადმოგვცემს უძველესი დროიდან 1921 წლამდე, იმდენად კარგად არის შესრულებული, რომ ზოგიერთი შენიშვნა, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, ოდნავაც ვერ მიაყენებს ჩრდილს მის დიდ ღირსებას. ეს არის საკმაოდ მოზრდილი გამოკვლევა / 324 გვერ-

დი/, მეცნიერული კეთილსინდისიერებით დაწერილი, სადაც არაერთი საინტერესო საკითხია გარკვეული. მეორე ნაწილიც / 270 გვერდი / მონოგრაფიულია და მოწმობს,რომ დისერტანტი არამარტო ღრმად ერკვევა ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებში, არამედ, მან კარგად იცის ქართული ლიტერატურის ისტორია, პედაგოგიკა, მისი მონათესავე დარგები, რაც საშუალებას აძლევს თავისუფლად გამოიყენოს თვითეული მათგანი მეთოდიკის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

ეს ერთი მხარეა, ხოლო არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორეც:

დისერტანტმა კარგად იცის სკოლა, მისი ცხოვრება, ამიტომ თავისი დასკვნები აგებული აქვს იმ გამოცდილებაზე, რაც მას შეუძენია, როგორც პედაგოგს. მისი მსჯელობა ყველგან ამჟღავნებს დაკვირვებულსა და ერუდიტ მეთოდისტს, რომელსაც კარგად ეხერხება თეორიული დებულებანი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამოიყვანოს, ხოლო პრაქტიკა თეორიით გაამდიდროს.

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ გამართული ენით წერას, თანმიმდევრული აზროვნების უნარსა და საგნისადმი დიდ სიყვარულს,სრულიად უეჭველი გახდება, რომ დისერტანტის სახით ჩვენს წინაშეა სავსებით მომზადებული, ახალგაზრდა მეცნიერი, რომელსაც მომავალშიაც ბევრი საინტერესო ნაშრომი შეუძლია მისცეს მეთოდიკური აზროვნების ისტორიას.

ახლა შევუდგეთ თვით სადისერტაციო ნაშრომის განხილვას.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია დისერტანტის აზრი, რომ უძველეს სკოლებში, რომლებიც ცალკე არსებობდნენ, მონასტერ-ეკლესიებთან თუ სამღვდელმთავრო კათედრებთან, ჩაისახა მეთოდიკა, როგორც სწავლების წესთა სისტემა. თუ დამადასტურებელი " წმინდა მეთოდი-

კური " ძეგლი არ მოგვეპოვება, ეს მართლაც " იმას როდი ნიშნავს, რომ თავის დროზე მისი არსებობის შესაძლებლობაც გამორიცხულად იქნას მიჩნეული " ( გვ.4 ) . რა თქმა უნდა, ამგვარი მსჯელობა მთლიანად ჰიპოთეზურ სახეს ღებულობს, მაგრამ მისი საფუძვლიანობა სრულიად უეჭველია. შემთხვევითი არ არის, რომ დისერტანტი ემყარება ჩერნიშევსკის თეზისს: " საგნის ისტორიის გარეშე არ არსებობს საგნის თეორია." საგნის სწავლების წარმოშობა ბუნებრივად გულისხმობს მეთოდიკური აზრის გაჩენასაც ისევე, როგორც ხელოვნების გენეზისმა ხელოვნების თავდაპირველი თეორიაც განაპირობა.მაგრამ ისე არ უნდა გამოგვივიდეს,რომ სწავლებასა და მეთოდიკას შორის იგივეობა დავამყაროთ,იდენტიფიკაციის გზას დავადგეთ,ყოველგვარი სწავლა მეთოდიკამდე დავიყვანოთ. ცხადია, ეს არ ეხება იოანე მოსხის "ლიმონარიას", სულხან-საბა ორბელიანის " სამოთხის კარს" ან ვახტანგ VI სტამბაში 1711 წელს დაბეჭდილ წიგნს-"სწავლა,თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა", რომლის ავტორია გერმანე მღვდელ-მონაზონი. პირველ ორ წიგნში მართლაც გვხვდება ზოგიერთი ადგილი, მეთოდიკური ხასიათისა, ხოლო უკანასკნელი მთლიანად ერთ მიზანს ისახავს - ხელი შეუწყოს ქრისტიანული დოგმატების უკეთესად შესწავლას.

დისერტანტმა სცადა ყველგან აღმოეჩინა, სადაც კი სწავლა-აღზრდაზეა ლაპარაკი, მეთოდიკის ელემენტები, და აქ არავითარი უხერხულობა არ არის. ჩვენ არავართ წინააღმდეგი მამუკა ბარათაშვილის"ჭაშნიკი", როგორც პირველი ქართული პოეტიკური ტრაქტატი , მეთოდიკურ მიზნებს არ დავაშოროთ, მაგრამ საკუთრივ მეთოდიკური მასში არაფერია.ამიტომ გადაჭარბებული გვეჩვენება მისი მოხსენიება გერმანე მღვდელ-მონაზონის წიგნის გვერდით და " ჭაშნიკის " მიჩნევა მეთოდიკის თუნდაც " ჩანასახი ელემენტების განვითარების გარკვეულ ეტაპად " ( გვ.21 ). რაც შეეხება ძველ სკოლებში პოეტი-

კისა და რიტორიკის სწავლებას, დისერტანტმა უხვად გამოიყენა თითქ-მის ყველა ხელმისაწვდომი მასალა და ანალიზიც სწორი გზით წარმარ-თა. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ 1761 წელს თარგმნილი მხითარ სევასტიელის " რიტორიკა " და ანტონ პირველის " რიტორება " ( დაწერილია 1764 წელს). აღარაფერს ვამ-ბობთ სხვა შრომებზე/ " კალმასობა ", " წყობილსიტყვაობა", დავით რექტორის იამბიკოები და მრავალი სხვა/.

საერთოდ, დისერტაციის პირველივე თავი - "ზოგიერთი ცნობა ქართული მეთოდიკური აზრების ჩასახვისა და განვითარების შესახებ უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე " ყურადღებას იპყრობს არამარტო დიდძალი ფაქტიური მასალით, [redacted] არამედ , მისი მეცნიერული ანალიზის სიზუსტითა და წყაროების კეთილსინდისიე-რი გამოყენებით. ამ თავში ჩვენ ვიგრძენით, რომ დისერტანტი საკ-სებით ჩამოყალიბებული მკვლევარია, რომელსაც წერაც ეხერხება და სხვისი დაწერილის სწორი ანალიზიც.

შეიძლებოდა იგივე გვეთქვა დისერტაციის მეორე თავზე, რომე-ლიც მიმოიხილავს " ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ძირითად პერიოდებს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე." დოდაშვილის " რიტორიკა", [redacted] რომლის მხოლოდ ფრაგმენტე-ბია ჩვენამდე მოღწეული, მართლაც ებრძვის სწავლებაში იმ დროს გა-ბატონებულ სკოლასტიკურ წესებს და ქართული ლიტერატურის მასალებით ამდიდრებს ამ დისციპლინას. დისერტანტი სწორად მოიქცა, როცა გვერ-დი არ აუარა რევოლუციამდელ რუსეთში ძირითად მეთოდიკურ მიმდინა-რეობათა დახასიათებას, ვინაიდან თ. ბუსლაევის ( 1818-1897), ვ.სტოიუნინის ( 1826-1888,დისერტანტს რატომღაც 1820 წელი აქვს მითითებული),ვ.ვოდოვოზოვის ( 1825-1886), ც.ბალტალონის( 1855-1913), ვ.ოსტროგორსკის ( 1840-1902), ლ.პოლივანოვის ( 1838 -

1899/შეხედულებანი ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას შეუმჩნეველი არ დარჩენია. მართებულია მითითება, რომ გასული საუკუნის "60-იანი წლების მეთოდიკური აზროვნების განვითარებაზე უდიდესი გამანაყოფიერებელი გავლენა მოახდინეს დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა ", პირველ ყოვლისა ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ,დობროლიუბოვმა.მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ არის აქვე მოხსენიებული კ.დ. უშინსკი ( 1824-1870 ) , რუსული პედაგოგიური აზრის ეს მართლაც აარონი, რომელსაც დისერტანტი სხვა თავებში შედარებით ვრცლად ეხება. მგონი მართებული არ არის დაახასიათო რევოლუციამდელ რუსეთში ძირითადი მეთოდიკური მიმდინარეობანი და უშინსკი არ მოიხსენიო.ისიც უნდა გავითვალისწინოთ,რომ ვოდოვოზოვი უშინსკის მიმდევარი იყო,და არა მარტოოდენ სტოიუნინის განმავითარებელი ( გვ.67 ), როგორც დისერტანტი ფიქრობს.

დისერტაციის ამ თავში, სამწუხაროდ, სწორად არ არის მოტანილი ჩერნიშევსკის ცნობილი ნაშრომის - "გოგოლის პერიოდის რუსული ლიტერატურის ნარკვევების" სახელწოდება. დისერტანტს ნახმარი აქვს " ნარკვევები"გოგოლის პერიოდი ლიტერატურაში "(გვ.60),რაც ძალიან უხერხულია. მთელი თავის დიდ ღირსებად მიგვაჩნია დავით ჩუბინსშვილის ქრესტომათიების ( 1846-1863 წლების გამოცემა)დაწვრილებითი ანალიზი, რასაც თან ახლავს მათი როლის ასევე ვრცელი დახასიათება.

დისერტანტმა ცალკე ქვეთავი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის როლს " ქართული მეთოდიკური აზროვნების ახალი გზით განვითარების საქმეში"(გვ.106-129).მართალია,არც ილიას, არც აკაკის მეთოდიკის საკითხებზე სპეციალური ნაშრომები არ დაუწერიათ,მაგრამ სწავლა-აღზრდის შესახებ

თავიანთ წერილებში ისინი ძალიან ხშირად ეხებიან სასწავლო გეგ-
მებსა და პროგრამებს, ქართული ენის სწავლების მდგომარეობას, ზო-
გად პრობლემებსაც, თუ რა არის აღზრდა, რა გზებითა და საშუალებე-
ბით ხორციელდება, რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს. ეს კი დიდაქტი-
კის სფეროდან მეთოდიკის სფეროში შეჭრაა და სრულიად უეჭველია, რომ
მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მეთოდიკური აზრი მარ-
თლაც განვითარდა ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეო-
ბის შედეგად. იაკობ გოგებაშვილმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა მეთო-
დიკურ პრობლემატიკას და შეუძლებელია სადაო იყოს დისერტანტის დე-
ბულება, რომ გოგებაშვილის სახელთან " არის დაკავშირებული ქართულ
სამეტყველო ლექსიკაში თვით მეთოდიკური ცნება-ტერმინების მტკიცე
დანერგვა-დამკვიდრება, არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე სწავლების პრინ-
ციპების მეცნიერული დასაბუთება, ქართული ენის მეთოდიკის, ქართუ-
ლი საბავშვო ლიტერატურის თეორიული საფუძვლების შემუშავება, არამედ
ქართული ლიტერატურის სწავლების მთელი რიგი საკვანძო, მეთოდოლოგიუ-
რი ხასიათის საკითხების წამოყენება-დამუშავებაც " ( გვ.121 ).
ეს ნამდვილად არის იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურება ქართული
მეთოდიკური აზროვნების ისტორიასა და მის განვითარებაში. დისერ-
ტანტს ისე ვრცელი მასალა შეუკრებია ამ თავისათვის, საკითხები და
პრობლემები ისე ნათლად, საქმის ცოდნით გაურკვევია, რომ პრინცი-
პული ხასიათის შენიშვნა ჩვენ არა გვაქვს. მხოლოდ ზოგიერთი შეს-
წორება გვინდა შევიტანოთ: გამოთქმა " ზემოთ დასახელებულ თერგდა-
ლეულთა " ( გვ.119 ) ისეთ კონტექსტშია ნახმარი, რომ შეიძლება
მკითხველმა სერგეი მესხი და თედო სახოკია თერგდალეულებს მიაკუთ-
ვნოს. საჭირო არ იყო დისერტანტს მოეტანა კირილე ლორთქიფანიძის
"ჩონგურის" ( 1864 წ. ) მთელი შინაარსი, რასაც ორი გვერდი( 130-

131) უკავია, არც 1884 წელს " ნობათში " დაბეჭდილი ალ.მირიანაშვილის გეგმა = კონსპექტის -" სამაგალითო გაკვეთილების " მთელი ტექსტი ( გვ. 151-158 გვ.). ორივე შემთხვევაში დისერტანტი ისე ფართო ანალიზს იძლევა, რომ ვრცელი ტექსტობრივი ილუსტრაციები უკვე ზედმეტად გვეჩვენება.

მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.არსებითია ნათლად გარკვევა არაერთი მეთოდიკური პრობლემისა, რასაც დისერტანტი დამაჯერებლად ახერხებს. მაგალითად, კარგად არის ნაჩვენები, რომ ენციკლოპედიური განათლების იდეა, რასაც უშინსკისთან ერთად გოგებაშვილი ემსახურებოდა, მიმართული იყო " კლასიციზმით" გატაცების წინააღმდეგ,იმის წინააღმდეგ, რომ ბერძნულ- ლათინურ ენებს კვირაში ექვს-ექვსი საათი ეთმობოდა, ხოლო ქართულს- ხშირად არცერთი ( გვ. 125 ). უშინსკის " ბავშვთა სამყარო" და გოგებაშვილის " ბუნების კარი " მართლაც ის სახელმძღვანელო წიგნებია, რომლებიც ენციკლოპედიური განათლების იდეას პრაქტიკულად განახორციელებდნენ.

"განმარტებითი კითხვის " პრობლემა ქართულ მეთოდიკაში და მიხეილ ნასიძის როლი დისერტანტმა შემთხვევით არ გახადა სპეციალური მსჯელობის საგნად. თავის დროზე ( 80-იანი წლები) გოგებაშვილის კონცეფციის /ენციკლოპედიური განათლების იდეა/ საწინააღმდეგოდ მიხეილ ნარიძემ, ცნობილმა პედაგოგმა=კრიტიკოსმა, გამოაქვეყნა ქრესტომათია და წამოაყენა " განმარტებითი კითხვა", როგორც სწავლების ეფექტური მეთოდი. დისერტანტმა ისე სრულად მიმოიხილა ეს საკითხი,რომ მეტი არც იყო საჭირო - ნათლად დაახასიათა ქართული მეთოდიკური აზრის ისტორიაში მიხეილ ნასიძის როლი და მისი შეცდომები ( " განმარტებითი კითხვის " გზა ლიტერატურის შესწავლისათვის სწორი არ იყო - გვ.181 ). იგივე შეიძლება ითქვას, საკითხის ნათ-

ლად გარკვევის აზრით, არ.ქუთათელაძის " წყაროს " /ლიტერატურული
ქრესტომათია/, გიორგი იოსელიანის, ლუარსაბ ბოცვაძის, ივანე გო-
მელაურის, ს.გორგაძისა და სხვათა შესახებ. ასევე ვრცლად არის და-
ხასიათებული სილ.ხუნდაძისა და ვასილ ბარნოვის ქართული ლიტერა-
ტურის გაკვეთილების კონსპექტები. დისერტანტმა დიდი ადგილი დაუთ-
მო, და სავსებით მართებულად, რევოლუციამდელ სკოლებში კლასგარეშე
მუშაობის საკითხებს. თავისი ნაშრომის პირველი ნაწილი მან დაამ-
თავრა საერთო დასკვნით, რომელიც, სულ ბოლოს, შემდეგი სახით არის
ჩამოყალიბებული: "მეთოდური აზროვნების მთელი ეს წარსული მრავალ-
ფეროვანი მემკვიდრეობა, როგორც ისტორიული ბაზა და წანამძღვარი,
ურყევ საფუძვლად უდება ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის
სისტემატური, მეცნიერული კურსის შექმნას, მის თეორიასა და პრაქტი-
კას " ( გვ.324). მიგვაჩნია, რომ ეს დასკვნა სავსებით მართებულია
და არ შეიძლება სადაო იყოს.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი მთლიანად პრობლემატუ-
რია, განსხვავებით პირველისაგან, რომელიც უმთავრესად ისტორიული
მასალების კვლევას ეხებოდა, თუმცა პრობლემების დაყენებისა და
ანალიზისათვის არსად გვერდი არ აუქცევია. მეორე ნაწილი დისერტა-
ციისა აუცილებლად უნდა დაწყებულიყო მეთოდიკის საგნის განმარ-
ტებით, მით უფრო, რომ ეს საკითხი დღემდე სადისკუსიოდ ითვლება/სულ
ახლო ხანში დისკუსია გაიმართა ჟურნალში -"Литература в школе",
N 3, 1956წ./. ზოგიერთი მეთოდიკას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას,
და მის საგანს ერთმანეთთან იგივეობაში წარმოიდგენს, რაც დიდ შეც-
დომად მიგვაჩნია. ჩვენი ამოსავალი წერტილი შემდეგია: მეთოდიკა,
(როგორც პედაგოგიკის ნაწილი,) მეცნიერული დისციპლინა, სწავლების
მეთოდების, ხერხების, პრინციპებისა და პრაქტიკის ანალიტიკური
სისტემაა, და ამდენად თეორია, ხოლო მისი საგანი ის სასწავლო

დისციპლინაა, რომელსაც ემსახურება. ჩვენ არ ვიცით დისერტანტი გაიზიარებს თუ არა ამ მოსაზრებას, მაგრამ მისი ნაშრომის ნაწილში, სადაც მეთოდიკისა და მეთოდიკის საგნის შესახებ არის ლაპარაკი, ეს ნათლად ვერ ვიგრძენით. თუ 332-ე გვერდზე ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, როგორც მეცნიერება, ისეა გაგებული, რომ " შემეცნებით-აღმზრდელობითი ფუნქციები" ეხება ლიტერატურის სწავლებას, და არა თვით ლიტერატურას, მაშინ დისერტანტს არ გამოვეკამათებით; მაგრამ თუ მეთოდიკის ერთერთ ამოცანად მას ლიტერატურის შემეცნებით = აღმზრდელობითი ფუნქციის კვლევა= ძიებაც მიაჩნია, მაშინ სადაო გვექნება, ვინაიდან, ეს არსებითად მოასწავებს ლიტერატურის თეორიის/ და არა პოეტიკის/ ფუნქციაში მეთოდიკის შეჭრას, რაც გაუმართლებელია. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ დისერტანტი ამ გზით სიარულს არ აპირებს.

დისერტანტმა ვრცლად განიხილა ქართული ლიტერატურის სწავლების ესთეტიკური მნიშვნელობა. ბევრ შემთხვევაში იგი მართებულ მოსაზრებებს ანვითარებს(ლიტერატურის მიზნის, მშვენიერების, ცხოვრების გამოხატვის, საგნისა და მისი ასახვის სხვადასხვა ასპექტის შესახ. მაგალითად, კვაზიმოდო, როგორც სიმახინჯე , და იგივე კვაზიმოდო, როგორც მშვენივრად დახატული, გვ.358; ეს ჩვენი დებულებაა, რომელიც დისერტანტს გაუზიარებია). მაგრამ, შეუძლებელია მართებულად მივიჩნიოთ დებულება, რომ ბახვა ფულავა " რეაქციული ძალაა"( გვ.363). ბახვა ფულავა იმ დროს, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის განვითარების პერიოდში, პირიქით, პროგრესულ ძალას წარმოადგენდა, წინააღმდეგ ერემია წარბასი, როგორც კაპიტალიზმი, ფეოდალიზმთან შედარებით, პროგრესული მოვლენა იყო. ეს იმდენად ელემენტარული საკითხია, რომ დამტკიცებას არც საჭიროებს.

სრულიად უეჭველია დისერტანტის მოსაზრება, რომ ქართული ლი-

ტერატურის სწავლების მეთოდიკას აუცილებლად კავშირი აქვს და უნდა ჰქონდეს ისეთ მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა ფილოსოფია, ლიტერატურისმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ისტორია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და სხვ. ამ კავშირურთიერთობის მრავალი საკითხი დისერტანტმა დაკვირვებულად, საქმის ცოდნით განიხილა.

მაგრამ გაკვირვება გამოიწვია დისერტანტის შემდეგმა დებულებამ: " ლეგიტიმისტი ბალზაკი, რომელიც თავისი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით კლერიკალიზმისა და აბსოლუტიზმის დამცველად გვევლინებოდა, თავისი უკვდავი " ადამიანური კომედიით " თვითონ აღმოჩნდა ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლთა პირველ რიგში " ( გვ.379). აქ აშკარა გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ბალზაკი , როგორც ლეგიტიმისტი, ბურბონების დამხობილი ტახტის ერთგული, ცხადია, ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდა, ფეოდალურ არისტოკრატიას მისტიროდა. მაგრამ მისი რეალიზმის უდიდესი დამსახურება სწორედ ის იყო, რომ მხატვრულმა სიმართლემ/ მეთოდმა / ბალზაკი აღმოაჩინა არა ბურჟუაზიის, არამედ, სწორედ ფეოდალური არისტოკრატიის, ვისაც პოლიტიკური ლეგიტიმიზმი იცავდა, ფრანგული არისტოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლთა " პირველ რიგში." ეტყობა დისერტანტს აქ უნებლიე შეცდომა მოუვიდა, თუმცა "მხატვრული ნაწარმოებთაგან ობიექტურად გამომდინარე იდეების " ანალიზზე სწორ თვალსაზრისს იცავდა. საკუთარი პოლიტიკური ცრურწმენების წინააღმდეგ წასვლა ბალზაკისათვის ის იყო, რომ პოლიტიკაში ლეგიტიმისტი მხატვრულ შემოქმედებაში ანტილეგიტიმისტად გვევლინება/ ე.ი. არსებითად ებრძვის თავის საყვარელ არისტოკრატიას და არა ბურჟუაზიას, რომლის წიაღში მომავლის ადამიანებს ხედავს/.

გადაჭარბებული გვეჩვენება დისერტანტის მტკიცებანი, რომ

ქართული ლიტერატურის მე-10-11 კლასების ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოებში არ იყოს კლასიციზმის, სენტიმენტალიზმის, ანტიკური რეალიზმის, ქრისტიანული რეალიზმის, სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის განმარტებანი. ლისერტანტი წერს: "იბადება კითხვა: რა აუცილებლობა მოითხოვს ისედაც დამძიმებული მიმოხილვითი კურსის კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის თეორიით გადატვირთვას, მით უფრო მაშინ, როცა არც ერთი ეს ლიტერატურული მიმართულება ორგანული და დამახასიათებელი არ არის ქართული ლიტერატურის მე-19 საუკუნის ისტორიისათვის და საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის პროგრამაც არ ითვალისწინებს?" ( გვ. 508). სულ საწინააღმდეგო აზრია განვითარებული 564-566 გვერდებზე - ამ საკითხებში მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნა უნდა მივცეთ. თუ ლისერტანტი სერიოზულად ფიქრობს, რომ ლიტერატურული მიმართულებათა განმარტებების ამოღებით სახელმძღვანელოები " ზედმეტი მასალისაგან " განიტვირთება, უთუოდ ცდება. საშუალო სკოლის მოწაფემ (მე-10-11 კლასებისა) გარკვეული მოცულობით კლასიციზმიც უნდა იცოდეს და სენტიმენტალიზმიც. ცოდვა ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ტექსტების ანალიზი შინაარსის ვრცელი გადმოცემით იცვლება, ვინაიდან მოწაფე ტექსტებს უშუალოდ არ კითხულობს, ან ძალიან ცოტას. მაგრამ არანაკლებ მცდარია მოთხოვნა, რომ დაგმობილ იქნას " ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებში მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა" და ეს მიჩნეულ იქნას , როგორც " სკოლის საგანმანათლებლო-საალმზრდელო მიზნებთან სრულიად შეუთავსებელი საზიანო პრაქტიკა " ( გვ. 510). მაშინ ჩვენ მართლაც მივიღებთ ოხოტინის "ისტორიას," რომელიც, ჩერნიშევსკის არ იყოს, " სათაურებისა და სახელების მშრალი გადმოცემაა." ჩვენ წინააღმდეგი ვართ ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა როგორც შინაარსით გადატვირთვისა, ისე მისი სრულიად გან-

დევნისა და დისერტანტის კატეგორიული ტონი - შინაარსის გადმოცემა " საზიანო პრაქტიკაა,"- უმართებულოდ გვეჩვენება. რაც შეეხება ტექსტებზე მუშაობის გაძლიერებას, გაფართოებას, დანერგვას,- ეს ჩვენი იდეალია დისერტანტთან ერთად და აქ მას ვერავინ შეედავება.

ჩვენთვის მიუღებელია დებულება, რომ თითქოს " ალ. ჭავჭავაძისა და გრ.ორბელიანის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის მწვერვალად" ითვლება ( გვ. 561). თუ აქ ქრონოლოგიაზეა ლაპარაკი, მაშინაც უმართებულო აზრთან გვაქვს საქმე, ვინაიდან დღეს ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში საბოლოოდ დადგენილია, რომ ქართული რომანტიზმის მწვერვალი ნიკოლოზ ბარათაშვილია და არა ალ. ჭავჭავაძე ან გრ. ორბელიანი( ისინი დამწყებნი არიან, დიდი წარმომადგენლები, მაგრამ არა მწვერვალები). ბარათაშვილი აგრეთვე აღიარებულია, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

მიკერძოებული გვეჩვენება დისერტანტის მტკიცება, რომ თითქოს " სახელმძღვანელოების( მხედველობაშია მე-10-11 კლასების სახელმძღვანელოები - გ.ჯ.)გამოსვლის შემდეგ ფესვი გაიდგა ტრადიციამ, რომლის მიხედვით ლიტერატურულ მიმართულებათა შესახებ მშრალი, განყენებული, ზერელე ცნობები მოსწავლეებს ეძლევათ ეპოქების ზოგად მიმოხილვებთან ერთად, კონკრეტულ მწერალთა შემოქმედების შესწავლამდე" ( გვ. 563). უფრო წინ კი დისერტანტი გვარწმუნებდა, რომ ამ სახელმძღვანელოების " საგანმანათლებლო- აღმზრდელობითი მნიშვნელობა მაინც დიდია " ( გვ. 513), რომ ისინი დახმარებას უწევენ მე-9-11 კლასების მოსწავლეებს " ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების თანმიმდევრული შესწავლის გზით მოცემული მეცნიერების საფუძვლების სისტემატიზებული, აუცილებელი ცოდნის შეძე-

ნასა, ლიტერატურულ- საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებაში ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მნიშვნელობის სწორად გაგებასა და გაკვეთილებზე ყოველდღიურად ახსნილი მასალების გააზრებულად, შეგნებულად და სათანადო დაკვირვებულობით ათვისებაში"... (გვ.513, ხაზი ყველგან დისერტანტისაა - გ.ჯ.). თუ ასეა, მაშინ რაღა საჭიროა ის, რაც 563 გვერდზეა ნათქვამი და რაც უკვე მოვიხსენიეთ?

ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ დისერტანტის მიერ მოწოდებული " საორიენტაციო- საილუსტრაციო გეგმები " ლიტერატურულ მიმართულებათა შესასწავლად, რასაც 568-574 გვერდები უკავია, შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა ამ საკითხების მეცნიერულ ანალიზსა და გადაწყვეტას სპეციალისტ-მეთოდისტთა წრეებში.

საერთოდ, დისერტაცია, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს. სამწუხაროდ,ზოგან დაშვებულია უნებლიე შეცდომები: " სქოლასტიციკისა " ( გვ. 14),"შეიარაღებისათვის"(გვ.58), "ინესა არნადისარმი" ( გვ.432),ნაცვლად "ინესა არმანდისარმი", "არგუმენტირებით"( გვ.545), "პროგრასული"(გვ.551) და სხვა,რაც იმდენად მცირეა,რომ დისერტანტი ამ მხრივ შეიძლება საყვედურის ღირსადაც არ მივიჩნიოთ.

სრულიად დარწმუნებული ვართ,რომ დისერტანტი მომწიფებული მეცნიერი მკვლევარია,რომელმაც საპაქროდ სერიოზულად დამუშავებული ნაშრომი წარმოადგინა. ჩვენს ზოგიერთ შენიშვნას არავითარი ჩრდილი არ მიუყენებია დისერტაციის არც თეორიული და არც პრაქტიკული ღირებულებისათვის.

ყოველივე ეს საფუძველს მაძლევს ვიშუამდგომლო სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომ დოც. ა.ს. თოფურიას ნაშრომისათვის - "ქართული

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები " მიანიჭოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის საძიებელი ხარისხი.

დოქტორი, პროფესორი გ.ნ.ჯიბლაძე,
რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

3/XI-63